საზოგადოებრივი მაუწყებლის

2026 წლის

I კვარტლის

# ანგარიში

## მნიშვნელოვანი სიახლეები

### სპეციალური ეთერი - საქართველო პატრიარქ ილია II-ს დაემშვიდობა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სამოქალაქო პანაშვიდს და დაკრძალვის ცერემონიას უპრეცედენტო რაოდენობის ადამიანი დაესწრო. სამების საკათედრო ტაძართან რამდენიმე დღის მანძილზე, დღისა და ღამის განმავლობაში, დედაქალაქიდან და საქართველოს ყველა რეგიონიდან არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. ასევე ათი ათასობით ადამიანმა გააცილა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სამების საკათედრო ტაძრიდან, სიონის ტაძრამდე.

ასეთ დროს ყველაზე კარგად ჩანს საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი. თემის მნიშვნელობიდან, სენსიტიურობიდან და ისტორიული დატვირთვიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი არხი უზრუნველყოფდა უწყვეტ სიგნალს სამების საკათედრო ტაძრიდან და უზიარებდა მას სხვა კერძო მედიასაშუალებებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პოლარიზებულ და განხეთქილებით სავსე სამყაროში საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მთავარი პრიორიტეტია ის რაც საზოგადოებას აერთიანებს. სწორედ ასეთი ისტორიული მომენტის მოწმენი გავხდით, რომელიც მრავალ საუკუნეს გაუძლებს, საქართველოს პირველი არხის უნიკალური არქივი კი მომავალ თაობებს შეუნახავს ამ უნიკალურ კადრებს.

ბმული

### 2026 წლის ზამთრის პარალიმპიადა

პირველი არხისთვის პრიორიტეტულია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის მხარდაჭერა. პარალიმპიადის შესყიდვა და ტრანსლირება უმნიშვნელოვანესი გზავნილია უკეთესი, ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის.

შეგახსენებთ, რომ პირველად საქართველოში, საქართველოს პირველმა არხმა მისცა მაყურებელს საშუალება თვალი ედევნებინა „ტოკიო 2020 – პარალიმპიადისთვის“.

ბმული

### 2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაცია ექსკლუზიურად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შესთავაზა მაყურებელს

ბმული

### პირველმა არხმა ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე – Svetozár Stračina Grand Prix 2026 – ქართული ხალხური სიმღერები: „ჩაკრულო“, „ნადური“ და „ჩემო ვარდო“ წარადგინა.

ბმული

### პირველი მარტიდან პირველი არხის ეთერში ახალი ინტელექტუალური შოუ “შენ შეგიძლია მოიგო ასი ათასი” დაიწყო

ბმული

### 13 თებერვალი - რადიოს მსოფლიო დღე

ბმული

## ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ - ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ




მაუწყებლობის 25.46% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

## ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 16,2 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,9 მილიონი; გვერდს დაემატა 25,300 გამომწერი.

### პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 10,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,1 მილიონი.

გვერდს დაემატა 12,500 გამომწერი.

### პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 16,1 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 218,700.

გვერდს დაემატა 20,600 გამომწერი.

### 1tv.ge სტატისტიკა

| | I კვარტალი 2026 | IV კვარტალი 2025 |
|---|---|---|
| ნახვა | 22,283,412 | 20,180,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 247,760 | 221,700 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 269,093 | 120,700 |
| | 26 მარტი 2026 | 11 ოქტომბერი 2025 |

### იუთუბარხების სტატისტიკა

| | I კვარტალი 2026 | IV კვარტალი 2025 |
|---|---|---|
| ნახვა | 23,300,000 | 25,600,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 258,800 | 278,000 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 621,000 | 886,000 |
| | 26 მარტი 2026 | 14 ოქტომბერი 2025 |

მონაცემები დათვლილია google analytics-ით კონკრეტულად კი event count-ის მიხედვით.

### TikTok
პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს ამ დროისთვის ჰყავს 110 100 გამომწერი.

### Instagram
პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს ამ დროისთვის ჰყავს 69 300 გამომწერი.

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2026 წლის 1-ლი კვარტლის ანგარიშს.

## *1. ხელშეკრულებების შესახებ*

2026 წლის 1-ელ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 173 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო / სასპონსორო და სხვ.).

## *2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ*

*2.1*

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2026 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "სტუდია ფონოგრაფი"** | სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.<br>- სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი |
| 2 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 3 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება | - მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.<br>- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 4 | **სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"** | 28/02/2022წ. დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანების 4215 12 ლარის ოდენობით დაფარვა | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 5 | **მარიამ სონიშვილი** | ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | **თამთა ჯანაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.<br>- მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |
| 7 | **სოფიო ზედელაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 8 | **არაზ მაშოვი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>გადაწყვეტილება არ არის მომზადებულ. წარდგენილია ფორმალური სააპელაციო საჩივარი |
| 9 | **ნიკოლოზ ცერცვაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით და საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში ჩანიშნულია 2026წ. 22 აპრილს. |
| 10 | **ნინო ზაუტაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2026 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 11 | **ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.<br>- მოსარჩლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |
| 12 | **ქეთევან კაპანაძე<br>იოსებ კაციტაძე<br>თამარ მშვენიერაძე<br>ომარ წოწორია<br>ტუხა კვინიკაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. მიმდინარე წლის 20 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება. |
| 13 | **მერი შიხაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |

*2.2*

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2026 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "პრაიმ თაიმი"** | 24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება | - საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.<br>- ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო** | ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა | - სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. |

*2.3*

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:**

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ:</u> შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააალსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18,05,2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403 23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318 01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

## ***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2026 წლის 1-ელ კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" განცხადება არ შემოსულა.

## ***4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ***

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2026 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას. 2026 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

## ***5. სხვა საკითხების შესახებ***

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.).

# ანგარიში

## საზოგადოებრივი მაუწყებლის 2026 წლის I კვარტალის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2026 წლის I კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 23,562,656 ლარი.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2026 წლის I კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 21,614,913 ლარი. აქედან 20,064,700 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 1,550,213 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2026 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 18,438,909 ლარი.

2026 წლის I კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 32,475,679 ლარს, ხოლო I კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 35,651,682 ლარი.

2026 წლის I კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

### ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 238,433 | 244,216 | (5,784) |
| საერთო და ადმინისტრაციული | 1,933,398 | 2,124,353 | (190,955) |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,692,117 | 3,329,194 | 362,922 |
| მედია | 5,044,449 | 4,111,791 | 932,658 |
| ტექნიკური ხარჯი | 3,946,579 | 2,775,806 | 1,170,773 |
| ონლაინ მედია | 2,034,856 | 261,684 | 1,773,172 |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | 1,761,053 | 2,166,956 | (405,903) |
| საინვესტიციო ხარჯი | 3,948,048 | 2,356,111 | 1,591,938 |
| ფინანსური ხარჯი | 519,760 | 763,378 | (243,618) |
| სამეურვეო საბჭო | 443,963 | 305,420 | 138,542 |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **23,562,656** | **18,438,909** | **5,123,747** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2026 წლის I კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 5 მლნ. 123 ათასი ლარით ნაკლები.

## ბიუჯეტის შესრულება, 2026 I კვ.




## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2026 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 10,224,016 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9,190,998 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 1 მლნ. 33 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

### 2026 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 238,433 | 244,216 | (5,784) |
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 929,656 | 799,851 | 129,805 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,210,779 | 2,890,747 | 320,032 |
| მედია | 3,296,849 | 2,936,057 | 360,792 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 2,249,497 | 2,090,071 | 159,426 |
| ონლაინ მედია | 273,803 | 230,056 | 43,747 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 25,000 | - | 25,000 |
| **ჯამი:** | **10,224,016** | **9,190,998** | **1,033,018** |

## მივლინება

2026 წლის I კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ჯამურმა სამივლინებო ხარჯმა შეადგენდა 292,691 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 252,442 ლარი.

## სამივლინებო ხარჯი სამსახურების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ფაქტი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 2,515 | 53,156 | (50,641) |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 184,086 | 74,252 | 109,834 |
| მედია | 104,340 | 125,034 | (20,694) |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 1,750 | - | 1,750 |
| ონლაინ მედია | - | - | 0 |
| **ჯამი:** | **292,691** | **252,442** | **40,249** |

## საინვესტიციო ხარჯი:

2026 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 2,356,111 ლარის კაპიტალური ხარჯი:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 1,005,368 |
| ტექნიკური აღჭურვა | 911,555 |
| არამატერიალური აქტივი | 398,102 |
| სხვა საინვესტიციო ხარჯი | 41,086 |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი:** | **2,356,111** |

## ფინანსური ხარჯი:

2026 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 763,378 ლარის ფინანსური ხარჯი:

| | |
|---|---|
| საგადასახადო გადასახდელები | 687,340 |
| სესხის მომსახურება | - |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 76,038 |
| **ჯამური ფინანსური ხარჯი:** | **763,378** |

## ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2026 წლის I კვარტლის განმავლობაში სპორტული ლიცენზიებზე, სიგნალებსა და სხვა სამაუწყებლო შესყიდვაზე გადახდილ იქნა  2,006,683 ლარი.

| | |
|---|---|
| **სიგნალები და სპორტული სააგენტოები** | **747,548** |
| მ.ს.ს  და  სპორტის ტექნიკური ხარჯი | 719,586 |
| SNTV (Sport News Reporting Licence) | 27,963 |
| **სპორტული ლიცენზიები** | **1,188,221** |
| UEFA/FIFA 2022-2028 | 440,146 |
| EURO 2028 | 62,761 |
| FIBA 2022-2025 | 162,412 |
| Winter 2026 | 317,853 |
| ძიუდოს თბილისი გრანდ სლემი | 10,000 |
| ბიატლონი, სნოუბორდი, ფრისტაილი და სათხ. მსოფ. | 88,698 |
| წყალბურთი - ევროპის ჩემპიონატი | 106,351 |
| **ქართული ფილმები** | **4,375** |
| **სატელევიზიო ფორმატები** | **66,538** |
| **ჯამი:** | **2,006,683** |

## კომერციული შემოსავლები

2026 წლის I კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 1,550,213 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 241,149 ლარს, სხვა არასაოპერაციო და ფინანსურმი შემოსავალი - 1,309,064 ლარს.

2026 წლის I კვარტლის კომერციული შემოსავლები

| | |
|---|---|
| **კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | **241,149** |
| რეკლამიდან მიღებული შემოსავალი | 97,884 |
| სპონსორობა | 124,500 |
| პროდაქტ ფლეისმენტი | 18,000 |
| იჯარიდან მიღებული შემოსავალი | - |
| ტექნიკური მომსახურება | - |
| საარქივო მომსახურება | 765 |
| **სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი** | **1,309,064** |
| ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | 78,400 |
| დეპოზიტის პროცენტი | 1,183,870 |
| დადებითი საკურსო სხვაობა | - |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 46,794 |
| **მიღებული სესხი** | - |
| **ჯამი:** | **1 550 213** |

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2026 წლის I კვარტალის განმავლობაში გაწეული ხარჯის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

## დანართი N1

| დასახელება | I კვარტალი | | | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| | **იანვარი** | **თებერვალი** | **მარტი** | |
| **საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **4,625,108** | **5,610,578** | **4,778,314** | **15,014,000** |
| **გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები** | 90,388 | 76,370 | 77,458 | **244,216** |
| შრომის ანაზღაურება | 90,388 | 76,370 | 77,458 | **244,216** |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი** | 644,086 | 671,095 | 809,172 | **2,124,353** |
| შრომის ანაზღაურება | 273,429 | 261,486 | 264,936 | **799,851** |
| მივლინება | 21,390 | 16,478 | 15,288 | **53,156** |
| მარკეტინგი | 25,528 | 12,859 | 68,685 | **107,072** |
| კომუნალური ხარჯი | 193,949 | 235,907 | 218,493 | **648,350** |
| ავტოპარკი | 28,979 | 25,364 | 42,137 | **96,480** |
| საოფისე ხარჯი | 100,812 | 105,999 | 177,872 | **384,683** |
| წარმომადგენლობით ხარჯი | - | 13,001 | 21,760 | **34,762** |
| **ახალი და მიმდინარე ამბები** | 1,098,605 | 1,177,705 | 1,052,884 | **3,329,194** |
| შრომის ანაზღაურება | 974,206 | 957,506 | 959,034 | **2,890,747** |
| მივლინება | 19,660 | 35,812 | 18,780 | **74,252** |
| უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება | 34,739 | 108,416 | - | **143,156** |
| ბიზნესპარტნიორი | 70,000 | 75,970 | 75,070 | **221,040** |
| შესყიდვები ახალი ამბები | - | - | - | **-** |
| **მედია** | 887,549 | 1,762,623 | 1,461,620 | **4,111,791** |
| შრომის ანაზღაურება | 861,436 | 898,443 | 1,176,177 | **2,936,057** |
| მივლინება | 3,340 | 81,284 | 40,409 | **125,034** |
| გარეწარმოება | - | 479,330 | 83,583 | **562,913** |
| მხატვრული ტელესერიალები | - | - | - | **-** |
| კოპროდუქცია | - | 50,000 | 10,000 | **60,000** |
| ახალი წელი -2025 | - | - | - | **-** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შესყიდვები მედია | 22,773 | 253,565 | 151,450 | **427,788** |
| **ტექნიკური ხარჯი** | 747,821 | 943,357 | 1,084,628 | **2,775,806** |
| შრომის ანაზღაურება | 675,111 | 686,531 | 728,429 | **2,090,071** |
| მივლინება | - | - | - | **-** |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯი | 11,083 | 189,330 | 183,557 | **383,970** |
| სხვა არასაინვესტიციო ხარჯი | 61,627 | 67,496 | 172,642 | **301,765** |
| **ონლაინ მედია** | 86,540 | 79,911 | 95,233 | **261,684** |
| შრომის ანაზღაურება | 71,777 | 76,418 | 81,861 | **230,056** |
| ონლაინ მედიის შესყიდვები | 14,763 | 3,493 | 13,372 | **31,628** |
| **სხვა სამაუწყებლო ხარჯი** | 1,070,118 | 899,518 | 197,320 | **2,166,956** |
| ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი | - | 160,273 | - | **160,273** |
| სატელევიზიო ფორმატები | - | 66,538 | - | **66,538** |
| სიგნალები და სპორტული სააგენტოები | 48,593 | 607,072 | 91,884 | **747,548** |
| სპორტული ლიცენზიები | 1,021,525 | 61,260 | 105,437 | **1,188,221** |
| ქართული ფილმები | - | 4,375 | - | **4,375** |
| კონცერტების და დაჯილდოებების ჩვენების უფლებები | - | - | - | **-** |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **16,282** | **1,070,242** | **1,269,586** | **2,356,111** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | 16,282 | 700 | 988,385 | 1,005,368 |
| მშენებლობის ხარჯი | - | - | 952,562 | 952,562 |
| პროექტირების და ზედამხედველობის ხარჯი | 16,282 | - | 4,609 | 20,892 |
| ინვენტარი/ავეჯი | - | 700 | 31,214 | 31,914 |
| საინჟინრო სისტემების სერვისი | - | - | - | - |
| ახალი შენობის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია | - | - | - | - |
| **ტექნიკური აღჭურვა** | - | 671,440 | 240,115 | 911,555 |
| კამერები | - | - | - | - |
| კომპიუტერული ტექნიკა | - | 670,140 | 232,815 | 902,955 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდიური აპარატურა | - | - | - | **-** |
| პროგრამული უზრუნველყოფა - გრძელვადიანი | - | - | - | **-** |
| სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა | - | 1,300 | 7,300 | **8,600** |
| მოძრავი სატელევიზიო სადგური | - | - | - | **-** |
| ღრმა არქივი და PP სთორიჯი + ეტერე | - | - | - | **-** |
| PAM/MAM სისტემები | - | - | - | **-** |
| **არამატერიალური აქტივი** | - | 398,102 | - | **398,102** |
| მექანიკური პროდუქცია | - | 398,102 | - | **398,102** |
| სხვა არამატერიალური აქტივები | - | - | - | **-** |
| **სხვა საინვესტიციო ხარჯი** | - | - | 41,086 | **41,086** |
| სტუდიის დეკორაცია | - | - | 41,086 | **41,086** |
| საინვესტიციო პროექტების რეზერვი | - | - | - | **-** |
| **ფინანსური ხარჯი** | **303,552** | **322,004** | **137,823** | **763,378** |
| **საგადასახადო გადასახდელები** | 303,552 | 283,788 | 100,000 | **687,340** |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 300,000 | 280,000 | 100,000 | **680,000** |
| ქონების გადასახადი | - | - | - | **-** |
| მიწის გადასახადი | - | - | - | **-** |
| მოგების გადასახადი | 3,552 | 3,788 | - | **7,340** |
| **სესხის მომსახურება** | - | - | - | **-** |
| **სხვა ფინანსური ხარჯი** | - | 38,216 | 37,823 | **76,038** |
| სახელმწიფო ბაჟი | - | - | - | **-** |
| საჰონორარო ხარჯი | - | - | - | **-** |
| კომპენსაცია/სხვა დავალიანებები | - | - | - | **-** |
| საავტორო უფლებები | - | 38,216 | 37,823 | **76,038** |
| **სამეურვეო საბჭო** | **138,404** | **85,901** | **81,115** | **305,420** |
| სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი | 70,380 | 70,380 | 70,380 | **211,140** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სხვა ხარჯი** | 68,024 | 15,521 | 10,735 | **94,280** |
| აპარატის ხელფასი | 13,225 | 15,521 | 10,375 | **39,121** |
| მივლინება | - | - | 360 | **360** |
| საკონსულტაციო ხარჯი | 54,799 | - | - | **54,799** |
| სხვა ხარჯი | - | - | - | **-** |
| **ჯამი** | **5,083,347** | **7,088,725** | **6,266,837** | **18,438,910** |